

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-6
---------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ძირითადი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები	17
6. ფასს ზე გადასვლის ეფექტი	17
7. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	18
8. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	18
9. სხვა საოპერაციო შემოსავალი	18
10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	18
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
12. არასაოპერაციო შემოსავალი	20
13. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	20
14. ძირითადი საშუალებები	21
15. არამატერიალური აქტივები	22
16. მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	22
17. მარაგები	23
18. წინასწარ-გადახდები	23
19. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	23
20. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
21. მიღებული სესხები	24
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
23. კაპიტალი	25
24. პირობითი ვალდებულებები	25
25. ფინანსური რისკის მართვა	25
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
27. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	28
მმართველობითი ანგარიშგება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალ“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალ“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგების ოდენობის სისრულესა, არსებობაზე და ღირებულებაზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 331,131 ლარის ოდენობით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 481,005 ლარით, გამომდინარე იქედან რომ ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს გამოვლინა გარკვეული უზუსტობებები ბუღალტურ ჩანაწერებთან დადარებისას. ამასთანავე, გარკვეული უზუსტობები გამოვლინდა მარაგების ჩამოწრის ფორმულაში, შედეგად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება თვითღირებულების ხარჯზე და მის კომპონენტზე, რომელიც 2024 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითადი მასალების დანახარჯის სახით 846,209 ლარით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 664,809 ლარით, შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

ჩვენ ვერ შევძელით ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ნაწილის (საყოველთაოს სახელმწიფო ანგარიშები) დადასტურება, რადგან მესამე მხარისგან მიღებული დასტურის წერილებით და ვერც ალტერნატიული გზებით ვერ შევძელით ნაშთების დადასტურება. დაუდასტურებელი ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოადგენს 629,187 ლარი, ხოლო 2023 წლის დასრულებული წლისთვის 639,103 ლარი, შესაბამისად. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე (საყოველთაოს სახელმწიფო ანგარიშები) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე ამავე თარიღებში დასრულებული წლებისთვის.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება არარეზიტენტ საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაწეული კვლევითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დროში გამიჯვნის სისწორესთან დაკავშირებით, რომელმაც 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 3,718,140 ლარი, 2023 წლის განმავლობაში - 2,207,447 ლარი. ვერ მივიღეთ დასტურის წერილები ზემოთ მოხსენიებული ორგანიზაციებიდან, ასევე ვერ მოხერხდა კვლევითი მომსახურებიდან წარმოშობილი უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნების გადაფასების დაზუსტება და შესაბამისად დაუდასტურებელი მოთხოვნის ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგენს 1,284,152 ლარს, ხოლო 2023 წლის მდგომარეობით 826,605 ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე ამავე თარიღებში დასრულებული წლებისთვის.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება სადაზღვევო კომპანიებთან თანადაფინანსების დროს მიღებული შემოსავლების წარმოქმნასა და სისრულესთან დაკავშირებით, რომელმაც 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 830,205 ლარი. ასევე ვერ მოვიპოვეთ აღნიშნულ სადაზღვევო კომპანიებისაგან დასტურის წერილები, როგორც შემოსავლის, ასევე არსებული მოთხოვნის დადასტურების კუთხით რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 279,682 ლარით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ შემოსავლებში, ასევე ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული კომპანიის სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედრილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო



შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალა“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	7	8,270,156	7,186,546
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	8	(5,462,593)	(4,835,835)
საერთო მოგება		2,807,563	2,350,711
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	107,626	87,360
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	10	(1,217,285)	(978,457)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,339,985)	(1,206,882)
ცვეთა და ამორტიზაცია		(238,352)	(192,757)
საოპერაციო მოგება		119,567	59,975
არასაოპერაციო შემოსავალი	12	852,547	518,533
არასაოპერაციო ხარჯი	16	(676,239)	-
ფინანსური შემოსავალი		6,053	13,580
ფინანსური ხარჯი	21	(98,001)	(121,160)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	13	(68,707)	(260,516)
მოგება დაბეგვრამდე		135,220	210,412
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		135,220	210,412
სხვა სრული შემოსავალი:			
ძირითადი საშუალების გადაფასების ეფექტი	14	-	1,292,571
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		135,220	1,502,983

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

 ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკა“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	7	8,270,156	7,186,546
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	8	(5,462,593)	(4,835,835)
საერთო მოგება		2,807,563	2,350,711
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	107,626	87,360
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	10	(1,217,285)	(978,457)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,339,985)	(1,206,882)
ცვეთა და ამორტიზაცია		(238,352)	(192,757)
საოპერაციო მოგება		119,567	59,975
არასაოპერაციო შემოსავალი	12	852,547	518,533
არასაოპერაციო ხარჯი	16	(676,239)	-
ფინანსური შემოსავალი		6,053	13,580
ფინანსური ხარჯი	21	(98,001)	(121,160)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	13	(68,707)	(260,516)
მოგება დაბეგვრამდე		135,220	210,412
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		135,220	210,412
სხვა სრული შემოსავალი:			
ძირითადი საშუალებების გადაფასების ეფექტი	14	-	1,292,571
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		135,220	1,502,983

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

ტარიელ შოთღუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	14	16,876,001	11,785,540	7,804,552
არამატერიალური აქტივები	15	170,067	140,510	52,351
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	16	4,680,579	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,726,647	11,926,050	7,856,903
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	17	331,131	481,005	448,606
წინასწარ გადახდები	18	746,354	761,824	308,597
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	19	2,487,881	2,345,471	1,633,687
საგადასახადო აქტივი		139,365	88,865	112,237
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	3,360,695	767,024	211,204
სულ მიმდინარე აქტივები		7,065,426	4,444,189	2,714,331
სულ აქტივები		28,792,073	16,370,239	10,571,234
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	21	6,951,816	5,445,952	1,166,422
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,951,816	5,445,952	1,166,422
მიმდინარე ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	21	1,340,383	829,392	180,771
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1,250,035	1,497,906	1,630,035
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,590,418	2,327,298	1,810,806
სულ ვალდებულებები		9,542,234	7,773,250	2,977,228
კაპიტალი			-	
საწესდებო კაპიტალი	23	12,591,548	2,073,918	2,573,918
გადაფასების რეზერვი		1,292,571	1,292,571	-
აკუმულირებული მოგება		5,365,720	5,230,500	5,020,088
სულ კაპიტალი		19,249,839	8,596,989	7,594,006
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		28,792,073	16,370,239	10,571,234

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

 ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედილა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	14	16,876,001	11,785,540	7,804,552
არამატერიალური აქტივები	15	170,067	140,510	52,351
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	16	4,680,579	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,726,647	11,926,050	7,856,903
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	17	331,131	481,005	448,606
წინასწარ გადახდები	18	746,354	761,824	308,597
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	19	2,487,881	2,345,471	1,633,687
საგადასახადო აქტივი		139,365	88,865	112,237
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	3,360,695	767,024	211,204
სულ მიმდინარე აქტივები		7,065,426	4,444,189	2,714,331
სულ აქტივები		28,792,073	16,370,239	10,571,234
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	21	6,951,816	5,445,952	1,166,422
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,951,816	5,445,952	1,166,422
მიმდინარე ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	21	1,340,383	829,392	180,771
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1,250,035	1,497,906	1,630,035
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,590,418	2,327,298	1,810,806
სულ ვალდებულებები		9,542,234	7,773,250	2,977,228
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	23	12,591,548	2,073,918	2,573,918
გადაფასების რეზერვი		1,292,571	1,292,571	-
აკუმულირებული მოგება		5,365,720	5,230,500	5,020,088
სულ კაპიტალი		19,249,839	8,596,989	7,594,006
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		28,792,073	16,370,239	10,571,234

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

 ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედილა“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
იანვარი 1, 2023	23	2,573,918	-	5,020,088	7,594,006
კაპიტალის შემცირება		(500,000)	-	-	(500,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,292,571	210,412	1,502,983
დეკემბერი 31, 2023		2,073,918	1,292,571	5,230,500	8,596,989
კაპიტალის ზრდა(ფულადი ფორმით)		5,186,430	-	-	5,186,430
კაპიტალის ზრდა(არაფულადი ფორმით)		5,381,200	-	-	5,381,200
კაპიტალის შემცირება		(50,000)	-	-	(50,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	135,220	135,220
დეკემბერი 31, 2024		12,591,548	1,292,571	5,365,720	19,249,839

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

 ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალა“
 კაპიტალის გვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
იანვარი 1, 2023	23	2,573,918	-	5,020,088	7,594,006
კაპიტალის შემცირება		(500,000)	-	-	(500,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	მ	-	1,292,571	210,412	1,502,983
დეკემბერი 31, 2023		2,073,918	1,292,571	5,230,500	8,596,989
კაპიტალის ზრდა(ფულადი ფორმით)		5,186,430	-	-	5,186,430
კაპიტალის ზრდა(არაფულადი ფორმით)		5,381,200	-	-	5,381,200
კაპიტალის შემცირება		(50,000)	-	-	(50,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	135,220	135,220
დეკემბერი 31, 2024		12,591,548	1,292,571	5,365,720	19,249,839

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალ“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობა	შენიშვნა	2024	2023
მოგება დაბეგვრამდე		135,220	210,412
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	14,15	492,895	413,722
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	19	14,705	3,262
არასაოპერაციო შემოსავალი	12	(852,547)	(494,947)
არასაოპერაციო ხარჯი	16	676,239	-
ფინანსური ხარჯი	21	98,001	121,160
ფინანსური შემოსავალი		(6,053)	(13,580)
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან	13	68,707	260,516
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის კორექტირებამდე		627,167	500,545
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ზრდა მარაგებში	17	149,874	(32,399)
ზრდა(შემცირება) ჯანდაცვის მომსახურეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში	19	(147,116)	(721,173)
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივები		(50,497)	(122,449)
ზრდა გაცემულ ავანსებში	18	15,470	23,371
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	22	(246,340)	(453,227)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადის დაბეგვრამდე		348,558	(805,332)
სესხებზე გადახდილი პროცენტი	21	(239,307)	(124,395)
შემოსავალი პროცენტებიდან		6,053	13,580
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		115,304	(916,147)
<i>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</i>			
ძირითადი საშუალებების შეძენა	14	(4,954,753)	(2,869,619)
ძირითადი საშუალების გასვლა	14	-	1,267
არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(36,105)	(92,707)
საინვესტიციო საქმიანობიდან გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,990,858)	(2,961,059)
<i>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</i>			
მიღებული სესხები	21	2,754,527	5,186,950
სესხის ძირის გადახდა	21	(434,818)	(168,494)
კაპიტალის (შემცირება)/ ზრდა	23	5,136,430	(500,000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული / (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		7,456,139	4,518,456
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ კლება		2,580,585	641,250
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		13,086	(85,430)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	20	767,024	211,204
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	20	3,360,695	767,024

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

 ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკა“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობა	შენიშვნა	2024	2023
მოგება დაბეგვრამდე		135,220	210,412
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	14,15	492,895	413,722
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	19	14,705	3,262
არასაოპერაციო შემოსავალი	12	(852,547)	(494,947)
არასაოპერაციო ხარჯი	16	676,239	-
ფინანსური ხარჯი	21	98,001	121,160
ფინანსური შემოსავალი		(6,053)	(13,580)
წმინდა ზარალი (მოგება) საკუროს სხვაობიდან	13	68,707	260,516
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის კორექტირებამდე		627,167	500,545
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ზრდა მარაგებში	17	149,874	(32,399)
ზრდა(შემცირება) ჯანდაცვის მომსახურეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში	19	(147,116)	(721,173)
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივები		(50,497)	(122,449)
ზრდა გაცემულ ავანსებში	18	15,470	23,371
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	22	(246,340)	(453,227)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადის დაბეგვრამდე		348,558	(805,332)
სესხებზე გადახდილი პროცენტი	21	(239,307)	(124,395)
შემოსავალი პროცენტებიდან		6,053	13,580
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		115,304	(916,147)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	14	(4,954,753)	(2,869,619)
ძირითადი საშუალებების გასვლა	14	-	1,267
არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(36,105)	(92,707)
საინვესტიციო საქმიანობიდან გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,990,858)	(2,961,059)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
მიღებული სესხები	21	2,754,527	5,186,950
სესხის ძირის გადახდა	21	(434,818)	(168,494)
კაპიტალის (შემცირება)/ ზრდა	23	5,136,430	(500,000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული / (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		7,456,139	4,518,456
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ კლება		2,580,585	641,250
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		13,086	(85,430)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	20	767,024	211,204
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	20	3,360,695	767,024

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

ტარიელ თოდუა
 დირექტორი

დართული შენიშვნები 11-28 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2016 წლის 4 ოქტომბრის საიდენტიფიკაციო ნომრით: 405169598. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N6გ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 45% წილის მფლობელია შპს საქართველოს უნივერსიტეტი (205037137), 31% წილის მფლობელია - დავით თაბაგარი (პ/ნ: 01009013472), 12% წილის მფლობელი - შპს ესემო ფარმინა (ს/ნ: 202346498), ხოლო დარჩენილი 12% წილის მფლობელი დავით თაბაგარია (პ/ნ: 01008052902).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 60% წილის მფლობელია დავით თაბაგარი (პ/ნ: 01009013472), 20% წილის მფლობელი - შპს ესემო ფარმინა (ს/ნ: 202346498), ხოლო დარჩენილი 20% წილის მფლობელი დავით თაბაგარია (პ/ნ: 01008052902).

კომპანია სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს.

კომპანიის დირექტორი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ნიკოლოზ ფრუიძე, 2025 წლის 11 მარტიდან კი-ტარიელ თოდუა, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის - 2023 წლის 1 იანვრისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2024 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პრინციპებით (მსს ფასს), შესაბამისად, სრულ ფასს-ზე გადასვლის ეფექტი აღწერილია შენიშვნა 4-ში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ მუხლებისა, სადაც მოითხოვება სამართლიანი ღირებულებით წარდგენა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება ან ზარალი წარმოდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან“ ნეტო სიდიდით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო / ლარი	2.9306	2.9753

წლის საშუალო გაცვლითი კურსი

	2024	2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7208	2.6279
1 ევრო / ლარი	2.944	2.8416

ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანია ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

► ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან – კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

► ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან – კომპანია სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

► ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები კვლევებიდან - რეზიდენტი და არარეზიდენტი დამკვეთებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებად თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში (12 თვე), რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები გარდა მიწისა აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე.

2023 წლიდან კომპანია მიწას აღრიცხავს შეფასების მოდელით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწის სამართლიანი ღირებულება დაადგინა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შეფასებლის მიერ შესრულებული შეფასების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების მთლიანი შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო ნამეტი სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების ნამეტის სახით.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობა-ნაგებობები

შენობა-ნაგებობები	50 წელი
კეთილმოწყობა	5-15 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სამედიცინო ინვენტარი	5-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც საწარმო მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არა ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში. თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშება მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პირობების მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებული სესხები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანება, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტის სესხების შემთხვევაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან არ არის მოსალოდნელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივის ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ქვემოთ მითითებულია სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან და ასევე ახალი სტანდარტები რომელთა ადრეული გამოყენების შესაძლებლობა აქვს კომპანიას.

- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად;
- ▶ ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა თუმცა ჯერ არ შესულა ძალაში:

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება):

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

გამომდინარე იქედან რომ კომპანიას ყველა ტრანზაქცია ნომინირებული აქვს გაცვლისუნარიან მქონე ვალუტაში, შესაბამისად მის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს, ზემოთ მოხსენიებული ცვლილება.

6. ფასს ზე გადასვლის ეფექტი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია ბასს-ის მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“). ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წელს მოქმედი ვერსიის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება. ეს ვერსია გამოყენებულ იქნა 2023 წლის 1 იანვრის საწყისი ფასს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და მის შემდგომ პერიოდებში პირველი ფასს-ის ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პრინციპებით (მსს ფასს).

შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღით.

ფასს-ზე გადასვლას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მუხლებისთვის არ მოუხდენია ეფექტი.

7. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავლები კვლევებიდან (არარეზიდენტი დამკვეთი)	3,718,140	2,207,447
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	2,228,835	2,408,296
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	1,615,250	1,701,652
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები	830,205	927,634
შემოსავლები კვლევებიდან (რეზიდენტი დამკვეთი)	8,756	29,821
სხვა შემოსავალი	37,783	4,000
გამოკლებული: შესწორებები და ფასდათმობები	(168,813)	(92,304)
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	8,270,156	7,186,546

8. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულების ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასი	3,503,913	3,135,943
ძირითადი მასალების დანახარჯი	846,209	664,809
შემენილ ი სმედიცინო მომსახურება	709,495	686,261
სამედიცინო დანადგარისა და ინვენტარის ცვეთის ხარჯი	254,543	220,965
კომუნალური ხარჯი	134,274	116,091
სხვა	14,159	11,766
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	5,462,593	4,835,835

9. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი სტუდენტთა სარეზიდენტო პროგრამიდან	95,992	87,360
სხვა საოპერაციო შემოსავალი	11,634	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	107,626	87,360

10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	1,137,217	951,749
ბონუსები	80,068	26,708
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,217,285	978,457

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
დასუფთავების ხარჯი	214,615	161,997
მომსახურების ხარჯი	154,227	18,570
საგადასახადო ხარჯი	135,753	260,632
საოფისე ინვენტარი და კომუნალური ხარჯები	128,746	91,633
სამეურნეო მომსახურების ხარჯი	117,518	138,220
რემონტის ხარჯი	160,292	73,887
იჯარის ხარჯი	81,646	104,389
საპენსიო ხარჯი	57,325	63,174
მარკეტინგული ხარჯი	50,670	47,475
კომუნიკაციის ხარჯები	29,808	30,022
წარმომადგენლობითი ხარჯი	27,300	50,307
ტრანსპორტირების ხარჯი	26,479	23,669
ტრენინგები და სწავლება	18,146	28,355
მივლინების ხარჯები	5,027	11,428
საპროცენტო და საკომისიო ხარჯი	3,550	4,745
დაზღვევის ხარჯი	2,343	1,717
დაცვა-უსაფრთხოება	1,628	1,525
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	14,705	3,262
სხვა ხარჯები	110,207	91,875
სულ საოპერაციო ხარჯები	1,339,985	1,206,882

12. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სესხებთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი *	852,547	494,948
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	23,585
სულ არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	852,547	518,533

(*) 2023 წლის 7 აპრილს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება სს თიბისი ბანკს, შპს მულტიპროფილურ კლინიკა კონსილიუმ მედულასა და შპს საქართველოს უნივერსიტეტს შორის. ხელშეკრულებით განისაზღვრა შემდეგი საკრედიტო პირობები:

- სესხის თანხა შეადგენს 2 მილიონ აშშ დოლარს.
- ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – 9%.
- სესხის დაფარვის ვადა განსაზღვრულია 2030 წლის 7 აპრილამდე.

საკრედიტო ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო აღჭურვილობის შეძენა ახალი შენობისთვის. ხელშეკრულებაში ნათლად არის აღნიშნული, რომ ვალდებულება ერთობლივად ეკისრებათ შპს მულტიპროფილურ კლინიკა კონსილიუმ მედულასა და შპს საქართველოს უნივერსიტეტს. სრული საკრედიტო თანხა გადარიცხული იყო შპს მულტიპროფილურ კლინიკა კონსილიუმ მედულას, რომელმაც აღნიშნული თანხა კლინიკისთვის სამედიცინო აღჭურვილობის შესაძენად გამოიყენა. აღნიშნული სესხის დაფარვას უზრუნველყოფს შპს საქართველოს უნივერსიტეტი, შედეგად გადახდილი პროცენტი და ძირი აღიარდება როგორც არასაოპერაციო შემოსავალი.

13. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
სესხები	288,377	175,400
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	(194,064)	
ფული და ფულის ეკვივალენტები	(13,086)	85,430
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	(9,999)	6,127
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,521)	(6,441)
სულ წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	68,707	260,516

14. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024, და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შედგება:

	შენიშვნები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სამედიცინო ინვენტარი	მიწის ნაკვეთები	კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2023 წლის 1 იანვარი	2,514,847	2,750,819	2,223,387	273,227	200,221	100,000	524,799	48,742	67,757	8,703,799
შემოსვლა	22,981	1,566,217	384,709	59,946	52,104	-	755,721	-	24,703	2,866,381
გასვლა	-	-	-	-	-	-	(1,267)	-	-	(1,267)
აფასება	-	-	-	-	-	1,292,571	-	-	-	1,292,571
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია		232,477								232,477
2023 წლის 31 დეკემბერი	2,537,828	4,549,513	2,608,096	333,173	252,325	1,392,571	1,279,253	48,742	92,460	13,093,961
შემოსვლა	24,306	3,538,771	983,350	52,590	224,226	-	115,457	-	16,053	4,954,753
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია		622,055								622,055
2024 წლის 31 დეკემბერი	2,562,134	8,710,339	3,591,446	385,763	476,551	1,392,571	1,394,710	48,742	108,513	18,670,769
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება										
2023 წლის 1 იანვარი	(55,904)	-	(556,090)	(127,319)	(56,084)	-	(56,241)	(9,386)	(38,223)	(899,247)
წლის ცვეთა	(50,264)	-	(189,911)	(59,638)	(31,054)	-	(58,669)	(4,872)	(14,766)	(409,174)
2023 წლის 31 დეკემბერი	(106,168)	-	(746,001)	(186,957)	(87,138)	-	(114,910)	(14,258)	(52,989)	(1,308,421)
წლის ცვეთა	(49,104)	-	(214,507)	(50,208)	(32,312)	-	(127,089)	(4,874)	(8,253)	(486,347)
2024 წლის 31 დეკემბერი	(155,272)	-	(960,508)	(237,165)	(119,450)	-	(241,999)	(19,132)	(61,242)	(1,794,768)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
2023 წლის 1 იანვარი	2,458,943	2,750,819	1,667,297	145,908	144,137	100,000	468,558	39,356	29,534	7,804,552
2023 წლის 31 დეკემბერი	2,431,660	4,549,513	1,862,095	146,216	165,187	1,392,571	1,164,343	34,484	39,471	11,785,540
2024 წლის 31 დეკემბერი	2,406,862	8,710,339	2,630,938	148,598	357,101	1,392,571	1,152,711	29,610	47,271	16,876,001

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება შეადგენს 119,980, 81,718 და 38,064 ლარს, შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დაგირავებული მიღებული სესხების სანაცვლოდ. კომპანიამ 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი შპს „ეი ვი ჯი ფინანსაუდიტი“ და დაუკვეთა აქტივის სამართლიანი ღირებულებით შეფასება, რომელმაც კომპანიის მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენა საბაზრო მეთოდი. აქტივის შეფასების შედეგები კომპანიამ ასახა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში, აქტივის ღირებულების ზრდა წარმოადგინა კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების გადაფასების სახით.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

15. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შედგება:

	პროგრამა	ვებ-გვერდი	კანადის საერთაშორისო აკრედიტაცია	სულ
2023 წლის 1 იანვარი	43,782	17,288	-	61,070
შემოსვლა	4,401	-	88,306	92,707
2023 წლის 31 დეკემბერი	48,183	17,288	88,306	153,777
შემოსვლა	36,105	-	-	36,105
2024 წლის 31 დეკემბერი	84,288	17,288	88,306	189,882
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
2023 წლის 1 იანვარი	(6,996)	(1,723)	-	(8,719)
წლის ცვეთა	(2,820)	(1,728)	-	(4,548)
2023 წლის 31 დეკემბერი	(9,816)	(3,451)	-	(13,267)
წლის ცვეთა	(4,819)	(1,729)	-	(6,548)
2024 წლის 31 დეკემბერი	(14,635)	(5,180)	-	(19,815)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარი	36,786	15,565	-	52,351
2023 წლის 31 დეკემბერი	38,367	13,837	88,306	140,510
2024 წლის 31 დეკემბერი	69,653	12,108	88,306	170,067

16. მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ

2024 წლის 4 სექტემბერს შპს საქართველოს უნივერსიტეტმა შეისყიდა შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულას“ 45%-ანი წილი, წილის ნასყიდობის ფასმა შეადგინა 3,900,000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხიდან ნაწილს, კერძოდ 2,000,000 აშშ დოლარს შპს საქართველოს უნივერსიტეტი გადაიხდის იმ სესხის სახით, რომელიც გაფორმდა სამხრეთი ხელშეკრულების სახით 2023 წელს, თიბისი ბანკს, შპს საქართველოს უნივერსიტეტსა და კლინიკა მედულას შორის. აღნიშნულ თანხას სრულად იხდის შპს საქართველოს უნივერსიტეტი, მაგრამ იყენებს კომპანია.(სესხის დეტალები წარმოდგენილია მე - 12 ნოუტში).

2023 წელს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ დაფარული ძირის თანხა, რომელიც აღიარდა მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულას არასაოპერაციო შემოსავლის სახით, აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წელს აისახა როგორც არასაოპერაციო ხარჯი.

მსგავსად, 2024 წელს დაფარული ძირი თანხა, რომელიც დაიფარა წილის შესყიდვამდე წარმოდგენს არასაოპერაციო ხარჯს.

ქვემოთ მოცემულია მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ ცვლილების ცხრილი:

	-
კაპიტალის ზრდა	5,381,200
2023 წელს დაფარული ძირი	(262,471)
დაფარული ძირი 2024 წლის 4 სექტემბრამდე	(413,769)
დაფარული ძირი 2024 წლის 4 სექტემბრის შემდეგ	(218,445)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთრო სხვაობიდან	194,064
სულ მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	4,680,579

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალა“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

17. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალებისგან, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 331,131 ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით-481,005 ლარი, 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით- 448,606 ლარი.

18. წინასწარ-გადახდები

კომპანიის წინასწარ-გადახდები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	1 იანვარი 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	738,185	750,244	305,159
თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსები	8,169	11,580	3,438
სულ წინასწარგადახდები	746,354	761,824	308,597

19. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

კომპანიის ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	1-ლი იანვარი, 2023
მოთხოვნები კვლევითი ცენტრების მიმართ	1,284,152	826,605	415,590
მოთხოვნები სახელმწიფოს მიმართ	629,187	639,103	500,293
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	388,502	487,706	477,554
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	279,682	468,882	329,938
სხვა მოთხოვნები	14,013	16,125	-
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(107,655)	(92,950)	(89,688)
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	2,487,881	2,345,471	1,633,687

გაუფასურების რეზერვი	2024	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	92,950	89,688	50,601
რეზერვის ზრდა	42,639	3,262	39,087
რეზერვის აღდგენა	(27,934)	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	107,655	92,950	89,688

20. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3,237,023	295,030	169,231
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	123,177	471,068	39,169
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	495	926	2,804
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,360,695	767,024	211,204

21. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შედგება:

	მიმდინარე		გრძელვადიანი			
	31 დეკემბერი , 2024	31 დეკემბერი, 2023	1 იანვარი, 2023	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი , 2023	1 იანვარი, 2023
უზრუნველყოფილი ბანკის სესხები	1,340,383	829,392	180,771	6,951,816	5,445,952	1,166,422
სულ მიღებული სესხები	1,340,383	829,392	180,771	6,951,816	5,445,952	1,166,422

ბანკი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	1 იანვარი, 2023
სს თიბისი ბანკი	11-Nov-21	11-Nov-28	9%	აშშ დოლარი	1,047,394	1,164,398	1,347,193
სს თიბისი ბანკი	7-Apr-23	7-Apr-30	9%	აშშ დოლარი	4,680,579	5,110,946	-
სს თიბისი ბანკი	19-Mar-24	19-Mar-30	9%	აშშ დოლარი	2,564,226	-	-
					8,292,199	6,275,344	1,347,193

მიღებული სესხის მოძრაობა 2024 და 2023 წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	6,275,345	1,347,193
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	2,754,527	5,186,950
წლის განმავლობაში დაფარული სესხის ძირი	(434,818)	(168,494)
თანადაფინანსება	(853,536)	(494,947)
შენატანი კაპიტალში	(218,445)	-
გადასახდელი პროცენტების გადახდა	(239,307)	(124,395)
დარიცხული პროცენტი	98,001	121,160
დაკაპიტალიზებული პროცენტი	622,055	232,477
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაზე	288,377	175,400
31 დეკემბრის მდგომარეობით	8,292,199	6,275,344

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	999,236	1,136,215	1,328,354
გადასახდელი ხელფასები	250,799	361,691	301,681
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,250,035	1,497,906	1,630,035

23. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, გაუნაწილებელი მოგებისა და გადაფასების რეზერვისგან 2024 წლის 31 დეკემბრის, კომპანიის ჰქონდა საწესდებო კაპიტალი 12,591,548 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი 2,073,918 ლარი; 2023 წლის 1-ლი იანვარი 2,573,918). საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში

24. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვევცემ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მტკიცე პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვევცემ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო შეიძლება დაირიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება მართებულია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება. ხელმძღვანელობას გონივრულობის ფარგლებში მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

დროებით გადმოცემული სამედიცინო დანადგარი

2022 წლის იანვარში ერთ-ერთმა მომწოდებელმა დროებით სარგებლობაში გადასცა კომპანიას დანადგარი, რომელიც გამოიყენება აღნიშნული მომწოდებლისგან შეძენილი სამედიცინო მასალის გამოსაყენებლად. შეთანხმების საფუძველზე, კომპანიას შეუძლია უსასყიდლოდ ისარგებლოს აღნიშნული დანადგარით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუმცა, დანადგარის დაზიანების/მოპარვის/განადგურების შემთხვევაში აანაზღაურებს 45,000 ევროს. შეთანხმება თავდაპირველად დაიდო 1 წლის ვადით, თუმცა, ჯერჯერობით არ მომხდარა დანადგარის უკან გამოთხოვა და კომპანია აგრძელებს მის გამოყენებას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ დანადგარი დაზიანდა (რაც ნაკლებ-სავარაუდოა), ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

25. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობელობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული უცხოურ ვალუტაში გამოიყურება შემდეგნაირად:

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	1 იანვარი, 2023
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	2,487,881	2,345,471	1,633,687
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,360,695	767,024	211,204
სულ ფინანსური აქტივები	5,848,576	3,112,495	1,844,891
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,250,035	1,497,906	1,630,035
მიღებული სესხები	8,292,199	6,275,344	1,347,193
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,542,234	7,773,250	2,977,228

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით:

2024	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,766,556	470,468	3,237,023
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	495,751	727,903	1,223,653
სულ აქტივები	3,262,306	1,198,370	4,460,676
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8,292,199		8,292,199
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,349		7,349
სულ ვალდებულებები	8,299,548	-	8,299,548
წმინდა მდგომარეობა	(5,037,242)	1,198,370	(3,838,872)

2023	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	270,064	24,966	295,030
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	385,630	361,159	746,789
სულ აქტივები	655,694	386,125	1,041,819
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	0	0
მიღებული სესხები	6,275,344	-	6,275,344
სულ ვალდებულებები	6,275,344	-	6,275,344
წმინდა მდგომარეობა	(5,619,650)	386,125	(5,233,525)

2022	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	169,231	-	169,231
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	212,390	173,077	385,467
სულ აქტივები	381,621	173,077	554,698
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	1,347,193	-	1,347,193
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,664	-	7,664
სულ ვალდებულებები	1,354,857	-	1,354,857
წმინდა მდგომარეობა	(973,236)	173,077	(800,159)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

ზეგავლენა მოგება-ზარალზე	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(503,724)	(561,965)	(97,324)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	503,724	561,965	97,324
ევროს 10%-ით გამყარება	119,837	38,613	17,308
ევროს 10%-ით გაუფასურება	(119,837)	(38,613)	(17,308)

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	1,340,383	6,951,816	8,292,199
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,250,035	-	1,250,035
სულ	2,590,418	6,951,816	9,542,234

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	829,392	5,445,952	6,275,344
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,497,906	-	1,497,906
სულ	2,327,298	5,445,952	7,773,250

31 დეკემბერი, 2022	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	180,771	1,166,422	1,347,193
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,630,035	-	1,630,035
სულ	1,810,806	1,166,422	2,977,228

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	1 იანვარი, 2023
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	მფლობელი	76,234	91,588	60,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მფლობელი	(276,277)	(5,375)	(6,000)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	დირექტორი	(4,082)	(361,889)	(613,066)
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სუბიექტი	(7,112)	-	-
	სხვა			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	დაკავშირებული მხარე	(31,770)	-	-
სულ ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან		(243,007)	(275,676)	(558,537)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	1 იანვარი, 2023
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	მფლობელი	86,242	86,513	45,731
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	მფლობელი	(711,427)	(683,753)	(842,668)
საიჯარო ხარჯი	მფლობელი	(35,128)	(28,769)	(20,581)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	დირექტორი	(267)		
თვითღირებულების ხარჯი	სხვა დაკავშირებული მხარე	(30,000)		
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		(690,580)	(626,009)	(817,518)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024	2023	2022
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ხელფასები	89,481	72,000	65,125

27. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები 2,987,786 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ დაფარა სასესხო ვალდებულებები 302,014 ლარის ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.



მმართველობითი ანგარიშგება

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2016 წლის 4 ოქტომბრის საიდენტიფიკაციო ნომრით: 405169598. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანანა პოლიტკოვსკაიას ქ. N6გ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 45% წილის მფლობელია შპს საქართველოს უნივერსიტეტი (205037137), 31% წილის მფლობელია - დავით თაბაგარი (პ/ნ: 01009013472), 12% წილის მფლობელი - შპს ესემო ფარმინა (ს/ნ: 202346498), ხოლო დარჩენილი 12% წილის მფლობელი დავით თაბაგარია (პ/ნ: 01008052902).

კომპანია სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს.

კომპანიის დირექტორი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ნიკოლოზ ფრუიძე, 2025 წლის 11 მარტიდან კი არის ტარიელ თოდუა, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ძირითადი მიმართულებები

- დიაგნოსტიკა
- ამბულატორია
- ქირურგია
- ონკოლოგია
- ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები, რაც სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის მატებასა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, მისი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდია: 405169598.

კლინიკა უზრუნველყოფს პაციენტთა მიღებას და მომსახურებას თანამედროვე აპარატურით და მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრებით. კლინიკა უზრუნველყოფს პაციენტებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. ორგანიზაცია ფლობს აუცილებელ სამედიცინო ინფრასტრუქტურას და პაციენტებს უქმნის მყუდრო და კომფორტულ გარემოს.

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“ ბიზნესის განვითარების ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევს პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, რაც თავისთავად განაპირობებს კლინიკის წარმატებას. ორგანიზაციის პერსონალმა შეიმუშავა და დანერგა ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომლის მიზანია:

- კლინიკის ხარისხის პოლიტიკის და მიზნების შემუშავება და დანერგვა
- პაციენტის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის სამედიცინო სერვისების და პროდუქტის მიწოდება
- პროცესების უზრუნველყოფა პაციენტის და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანობის და მოგების გაზრდა
- ბიზნესის პროცესების, პროცედურების და სისტემის მუდმივი გაუმჯობესება

კომპანიის სტრატეგიული მიმართულებები

- 1. პაციენტი:**
უზრუნველყოფთ გამორჩეული ზრუნვა პაციენტზე ორიენტირებული მომსახურებით, ნდობის გაძლიერებით და პაციენტთა კმაყოფილების ამაღლებით.
- 2. პარტნიორობა:**
გავაძლიეროთ მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან, ფარმაცევტულ კომპანიებთან, კვლევით ორგანიზაციებთან და სადაზღვევო კომპანიებთან სამედიცინო მეცნიერებისა და პაციენტთა შედეგების გაუმჯობესებისთვის.
- 3. პერსონალი:**
ჩავდეთ ინვესტიცია თანამშრომლების განვითარებაში, კეთილდღეობასა და სტაბილურობაში, რათა უზრუნველყოფთ მოტივირებული და კვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც Clinic-ის მისიის ერთგულია.
- 4. ხარისხი:**
შევინარჩუნოთ და მუდმივად გავაუმჯობესოთ ჯანდაცვის სტანდარტები, უზრუნველყოფთ უსაფრთხო, ეფექტური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა.
- 5. განათლება:**
შევქმნათ ძლიერი სასწავლო გარემო სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისთვის და პროფესიონალებისთვის, ვაერთიანებდეთ თანამედროვე სამედიცინო ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.
- 6. მართვა:**
გავაძლიეროთ ორგანიზაციული პროცესები, რესურსების ოპტიმალური მართვა და უზრუნველყოფთ მდგრადი განვითარება სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანი ხელმძღვანელობის მეშვეობით.

კომპანიის მისია

ჩვენი მისიაა ვიყოთ პაციენტებისა და მათი ოჯახების ურყევი მხარდამჭერი, უზრუნველყოფთ ნდობით, თანაგრძნობითა და ზრუნვით გაჯერებულ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც სცდება მხოლოდ მედიკალური ფარგლებს.

ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ:

- **სასურველი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სტუდენტებისთვის** – შევქმნათ დინამიური სასწავლო გარემო, სადაც პრაქტიკული გამოცდილება და უახლესი მიდგომები ამაყადებს მომავალი თაობის პროფესიონალ და თანამგრძნობ ექიმებს.

- **ღირებული პარტნიორი ფარმაცევტული კომპანიებისთვის, კლინიკური კვლევების ორგანიზაციებისთვისა და სადაზღვევო კომპანიებისთვის**– ვუძღვებოდეთ სამედიცინო ინოვაციებს და ვაუმჯობესებდეთ პაციენტთა ჯანმრთელობის შედეგებს მაღალი სტანდარტებისა და ინოვაციური მიდგომების მეშვეობით.
- **სასურველი დამსაქმებელი**– სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ პროფესიული ზრდა, კეთილდღეობის გაუმჯობესება, სტაბილურობა და სიამაყე, რომ ისინი ახორციელებენ მნიშვნელოვან საქმეს.

ამ ვალდებულებებით, ჩვენ მიზნად ვისახავთ სამედიცინო მეცნიერების განვითარებას და საზოგადოებაზე ღრმა და ხანგრძლივი დადებითი გავლენის მოხდენას.

საოპერაციო გარემო და რისკები

საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება ცვლილებებს და სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხაზი ბევრად დამოკიდებულია როგორც მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე არსებული სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს ცვლილებებზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აუცილებელი ზომების მიღებით უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილურობასა და პროგრესს მიმდინარე პირობებში.

ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023
საერთო მოგება/შემოსავალი	34%	33%
წმინდა მოგება/შემოსავალი	2%	3%
EBITDA/შემოსავალი	4%	4%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	-34%	-32%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	0.59%	0.17%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ კაპიტალთან	0.97%	0.28%

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

- კომპანიამ გადაიხადა სესხი 302,014 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები 2,987,786 ლარის ოდენობით.

დირექტორი _____

30 სექტემბერი 2025

- ღირებული პარტნიორი ფარმაცევტული კომპანიებისთვის, კლინიკური კვლევების ორგანიზაციებისთვისა და სადაზღვევო კომპანიებისთვის-ვუძღვებოდეთ სამედიცინო ინოვაციებს და ვაუმჯობესებდეთ პაციენტთა ჯანმრთელობის შედეგებს მაღალი სტანდარტებისა და ინოვაციური მიდგომების მეშვეობით.
- სასურველი დამსაქმებელი-სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ პროფესიული ზრდა, კეთილდღეობის გაუმჯობესება, სტაბილურობა და სიამაყე, რომ ისინი ახორციელებენ მნიშვნელოვან საქმეს.

ამ ვალდებულებებით, ჩვენ მიზნად ვისახავთ სამედიცინო მეცნიერების განვითარებას და საზოგადოებაზე ღრმა და ხანგრძლივი დადებითი გავლენის მოხდენას.

საოპერაციო გარემო და რისკები

საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება ცვლილებებს და სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხაზი ბევრად დამოკიდებულია როგორც მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე არსებული სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს ცვლილებებზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აუცილებელი ზომების მიღებით უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილურობასა და პროგრესს მიმდინარე პირობებში.


ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023
საერთო მოგება/შემოსავალი	34%	33%
წმინდა მოგება/შემოსავალი	2%	3%
EBITDA/შემოსავალი	4%	4%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	-34%	-32%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	0.59%	0.17%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ კაპიტალთან	0.97%	0.28%

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

- კომპანიამ გადაიხადა სესხი 302,014 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები 2,987,786 ლარის ოდენობით.

დირექტორი _____



30 სექტემბერი 2025